



**ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის  
2018 წლის პრიორიტეტების დოკუმენტი**

**ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, პროგრამების, მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები**

საფინანსო საქმიანობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო პროცესის სრულყოფამ, საბიუჯეტო დაგეგმვის თვალსაზრისით მიღწეულმა პოზიტიურმა ცვლილებებმა, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრიობის და ხარჯვის ეფექტურობის უზრუნველყოფამ, სახაზინო მართვის პროგრამული სისტემის დანერგვამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომ განვითარებას, მოსახლეობის ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების გაფართოებას, სკოლამდელი განათლების სრულყოფას, მატერიალურ-

ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, კულტურის, სპორტის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, ახალგაზრდული პოლიტიკის უზრუნველყოფის ფინანსურ მხარდაჭერას.

2018-2021 წლებში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სტრატეგია მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, სოციალური პრობლემების გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;
- განათლება;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- თავდაცვა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ძირითადი მონაცემები 2016–2018 წლებში

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	21 290,8	4 818,2	16 472,6	19 578,1	4 328,1	15 250,0	15 280,0	0,0	15 280,0
გადასახადები	11 713,6	0,0	11 713,6	11 100,0	0,0	11 100,0	10 500,0	0,0	10 500,0
გრანტები	5 553,0	4 818,2	734,8	4 588,1	4 328,1	260,0	1 319,8	0,0	1 319,8
სხვა შემოსავლები	4 024,2	0,0	4 024,2	3 890,0	0,0	3 890,0	3 460,2	0,0	3 460,2
ხარჯები	16 579,9	1 212,2	15 367,7	14 442,1	1 014,7	13 427,4	13 885,6	0,0	13 885,6
შრომის ანაზღაურება	2 959,8	0,0	2 959,8	2 456,2	0,0	2 456,2	2 559,2	0,0	2 559,2
საქონელი და მომსახურება	3 582,7	0,0	3 582,7	4 009,8	0,0	4 009,8	4 039,7	0,0	4 039,7
პროცენტი	68,5	0,0	68,5	52,6	0,0	52,6	36,6	0,0	36,6
სუბსიდიები	5 762,1	0,0	5 762,1	5 016,8	0,0	5 016,8	5 528,3	0,0	5 528,3
გრანტები	1 279,4	0,0	1 279,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	1 071,1	0,0	1 071,1	981,4	0,0	981,4	1 100,7	0,0	1 100,7
სხვა ხარჯები	1 856,3	1 212,2	644,1	1 925,3	1 014,7	910,6	621,1	0,0	621,1
საოპერაციო სალდო	4 710,9	3 606,0	1 104,9	5 136,0	3 313,4	1 822,6	1 394,4	0,0	1 394,4
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4 850,7	4 023,5	827,2	5 772,1	3 943,2	1 828,9	1 252,0	0,0	1 252,0
ზრდა	5 211,1	4 023,5	1 187,6	6 172,1	3 943,2	2 228,9	1 652,0	0,0	1 652,0
კლება	360,4	0,0	360,4	400,0	0,0	400,0	400,0	0,0	400,0
მთლიანი სალდო	-139,8	-417,5	277,7	-636,1	-629,8	-6,3	142,4	0,0	142,4
ფინანსური აქტივების ცვლილება	-323,2	-417,5	94,3	-847,8	-638,7	-209,1	0,0	0,0	0,0
ზრდა	890,5	668,3	222,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	890,5	668,3	222,2	0,0			0,0		
კლება	1 213,7	1 085,8	127,9	847,8	638,7	209,1	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	1 213,7	1 085,8	127,9	847,8	638,7	209,1	0,0		
ვალდებულებების ცვლილება	-183,4	0,0	-183,4	-211,7	-8,9	-202,8	-142,4	0,0	-142,4
კლება	183,4	0,0	183,4	211,7	8,9	202,8	142,4	0,0	142,4
საშინაო	183,4	0,0	183,4	211,7	8,9	202,8	142,4	0,0	142,4
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

### 3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

ორბ. კოდი	დასახელება	2018 წლის პროექტი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	2730.0	2800.0	2800.0	2800.0
04 01	ა(ა)იპ "თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება"	2530.0	2600.0	2600.0	2600.0
04 03	სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების რეაბილიტაცია	200.0	200.0	200.0	200.0

#### 3.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება" (პროგრამული კოდი 04 01)

ქალაქის ბიუჯეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბავშვთა მეთვალყურეობა, მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სწავლების დონის, შესაბამისი პროგრამების, სასწავლო და მეთოდური მასალების განსაზღვრა.

ა(ა)იპ „სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“ არის 15 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ერთობლიობა, სკოლამდელი ასაკის დაახლოებით 2100 აღსაზრდელით და 364 მომსახურე პერსონალით.

გაერთიანება უზრუნველყოფს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმის ფარგლებში ბავშვთა სრულფასოვანი სამჯერადი კვების ორგანიზაციასა და ზამთრის პერიოდში ბაღების საწვავით მომარაგებას. ბავშვები იმყოფებიან ექთნის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ.

ქალაქში დღეისათვის რეაბილიტირებულია 6 საბავშვო ბაღი, სადაც დადის 1100 აღსაზრდელი, რაც საერთო რაოდენობის დაახლოებით 52%-ს შეადგენს. ამ დაწესებულებებში შექმნილია ესთეტიკურად ლამაზი, უსაფრთხო და კომფორტული გარემო მომავალი თაობის სრულფასოვანი აღზრდა-განვითარებისათვის.

#### 3.2 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში 2018 წელს დაგეგმილია საბავშვო ბაღების შენობების გაზიფიცირება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- აღსაზრდელთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა;
- საბავშვო ბაგა-ბაღებში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სათანადოდ აღჭურვილი საბავშვო ბაღების რაოდენობა;
- აღსაზრდელთა რაოდენობა.

**4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)**

მოსახლეობის მხარდაჭერა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროში კვლავ რჩება ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებად. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას.

ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

სოციალური დაცვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სოციალური დახმარება როგორც ფულადი, ასევე სხვადასხვა სოციალური შეღავათების დაწესების გზით, რაც გააუმჯობესებს შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ და მატერიალურ მდგომარეობას. განხორციელდება მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის და სოციალურ ეკონომიკური კვლევების ორგანიზება და სხვა ღონისძიებები.

ორბ-კოდი	დასახელება	2018 წლის პროექტი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
<b>06 00</b>	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1754.2	1831.0	1858.0	1886.0
<b>06 01</b>	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (ა(ა)იპ "თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი")	135.0	135.0	135.0	135.0
<b>06 02</b>	ჯანდაცვის სხვა პროგრამები	460.0	525.0	550.0	575.0
<b>06 03</b>	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	598.2	600.0	602.0	605.0
<b>06 03 01</b>	სარიტუალო მომსახურება	40.0	40.0	40.0	40.0
<b>06 03 02</b>	მარტოხელა დედათა დახმარება	45.0	46.0	47.0	48.0
<b>06 03 03</b>	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	148.2	149.0	150.0	152.0
<b>06 03 04</b>	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა (უფასო სასადილო)	250.0	250.0	250.0	250.0
<b>06 03 05</b>	ახალშობილთა ოჯახების დახმარება	35.0	35.0	35.0	35.0
<b>06 03 06</b>	საქალაქო ავტობუსების სუბსიდირების ხარჯები (შპს "ფოთი ქალაქტრანსპორტი")	80.0	80.0	80.0	80.0
<b>06 04</b>	მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება	200.0	200.0	200.0	200.0
<b>06 05</b>	ხუთი და მეტშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა	31.0	31.0	31.0	31.0

ორგ. კოდი	დასახელება	2018 წლის პროექტი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
06 06	სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარებები	50.0	50.0	50.0	50.0
06 07	ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური კვლევის ცენტრი“	240.0	250.0	250.0	250.0
06 08	ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი“	40.0	40.0	40.0	40.0

**4.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“) (პროგრამული კოდი 06 01)**

პროგრამის მიზანია ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა-შენარჩუნება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბება, ანტირაბიული, მალარიის, ტრანსმისიური დაავადების გადამტანი მწერების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ჩატარება, ნარკომანიის, თამბაქოს, ალკოჰოლიზმის, შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის პროპაგანდა, მუშაობა მიზნობრივ ჯგუფებთან, მოსახლეობაში პროფილაქტიკურ-საგანმანათლებლო სამუშაოების წარმოება.

*მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:*

- მოსახლეობის დაცვა სხვადასხვა ინფექციურ დაავადებათა გავრცელებისგან.

*შედეგების შეფასების ინდიკატორები:*

- ჩატარებული პრევენციული ღონისძიებების რაოდენობა;
- პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა.

**4.2. ჯანდაცვის სხვა პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)**

ჯანდაცვის სხვა პროგრამები მოიცავს მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობის პროგრამას, მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამას, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა და დიალიზის პროგრამაში მონაწილეთა ტრანსპორტირების პროგრამას, გინეკოლოგიურ დაავადებათა გამოკვლევისა და პროფილაქტიკის პროგრამას, სასმელი, სარეკრიაციო და ჩამდინარე წყლების სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური და სანიტარულ-ქიმიური გამოკვლევის პროგრამას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსების პროგრამას.

**4.2.1 მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობა(პროგრამული კოდი 06 02 01)**

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სერვისების ხელმისაწვდომობას, სხვადასხვა დაავადებების მკურნალობის ხარჯების თანადაფინანსებას, მათ შორის ძვირადღირებულ ოპერაციებს, გამოკვლევებს.

**პროგრამის მართვა:**

მოქალაქემ დახმარების მისაღებად უნდა მიმართოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს სამედიცინო დაწესებულებიდან წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურა, ფორმა №100, მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომართვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ამონაწერი სოციალურად დაუცველის სარეიტინგო ქულის შესახებ და პირადობის მოწმობის ასლი.

მოქალაქეთა განცხადებების განხილვა მოხდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, ვეტერანთა, დევნილთა, გენდერული თანასწორობისა და დასაქმების სამსახურთან არსებული „მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობის პროგრამის“ განმახორციელებელი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ (თვეში ორჯერ). განხილვისას გათვალისწინებული იქნება ავადმყოფის ასაკი, დაავადების სირთულე და ქრონიკულობა, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის (უბნების მიხედვით) მიერ წარმოდგენილი დასკვნა ავადმყოფის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული სრული თანხა, საანგარიშო პერიოდში შემოსულ განცხადებათა რაოდენობა და დამტკიცებული ლიმიტი.

მოქალაქეებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს - მკურნალობის ღირებულება დაუფინანსდებათ ანგარიშ-ფაქტურით წარმოდგენილი თანხის 100%-მდე არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. ხოლო მოქალაქეებს რომელთაც გააჩნიათ 70 000-ზე მეტი სარეიტინგო ქულა, ან არ არიან დარეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, მკურნალობის ღირებულება დაუფინანსდებათ ანგარიშ-ფაქტურით წარმოდგენილი თანხის 30%-მდე - არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში პაციენტს საბიუჯეტო წლის განმავლობაში დახმარება შეიძლება გაეწიოს არაუმეტეს ორჯერ (განსაკუთრებულ შემთხვევაში).

თანხები გამოიყოფა შესაბამისი კომისიის დასკვნისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

#### **4.2.2 მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 02)**

აღნიშნული პროგრამით განხორციელდება მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ფინანსური რესურსი გადანაწილებულია:

- ა) მოსახლეობის ერთჯერადი (70-ლარიანი) დახმარება 60.0 ათ. ლარი;
- ბ) განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა დახმარება 20.0 ათ. ლარი.

#### **პროგრამის მართვა:**

მოქალაქემ დახმარების მისაღებად უნდა მიმართოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა №100, პირადობის მოწმობის ასლი, აფთიაქიდან წარმოდგენილი ანგარიშფაქტურა ან/და მედიკამენტის ღირებულების შესახებ ამონაწერი.

მოქალაქეთა განცხადებების განხილვა მოხდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის

ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, ვეტერანთა, დევნილთა, გენდერული თანასწორობისა და დასაქმების სამსახურთან არსებული „მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ განმახორციელებელი კომისიის სხდომის მიერ. განხილვისას გათვალისწინებული იქნება დაავადების სირთულე და ქრონიკულობა, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის (უბნების მიხედვით) მიერ წარმოდგენილი დასკვნა ავადმყოფის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული სრული თანხა, საანგარიშო პერიოდში შემოსულ განცხადებათა რაოდენობა.

აღნიშნული პროგრამით პაციენტებს, საბიუჯეტო წლის განმავლობაში მედიკამენტის სახით, დახმარება შეიძლება გაეწიოს ერთჯერადად 70 ლარის ფარგლებში, ასევე წელიწადში ერთჯერ - განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფებს, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე საერთო დამტკიცებული ლიმიტის ფარგლებში.

თანხები გამოიყოფა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, ვეტერანთა, დევნილთა, გენდერული თანასწორობისა და დასაქმების სამსახურის მიმართვის, შესაბამისი კომისიის დასკვნისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების (ბრძანება გამოიცემა კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გასაწევ ან/და გაწეულ ხარჯებზე) საფუძველზე.

პროგრამის მომსახურე აფთიაქ(ებ)იდან ანგარიშის წარდგენა და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, ვეტერანთა, დევნილთა, გენდერული თანასწორობისა და დასაქმების სამსახურში მოხდება თვეში ორჯერ.

#### **4.2.3 განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა და დიალიზის პროგრამაში მონაწილეთა ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 06 02 03)**

განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა და დიალიზით დაავადებულთა ქალაქგარეთ ტრანსპორტირების პროგრამის მიზანია მძიმე მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფა უფასო, სრულყოფილი და ოპერატიული სასწრაფო სამედიცინო მომსახურებით.

#### **პროგრამის მართვა:**

პაციენტი ან/და მეურვე განცხადებით მიმართავს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს ექიმის მიერ გაცემული ფორმა №100, ავადმყოფის დიაგნოზისა და ტრანსპორტირების აუცილებლობის მითითებით. შემოსული დოკუმენტაცია მოწმდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, ვეტერანთა, დევნილთა, გენდერული თანასწორობისა და დასაქმების სამსახურში. პროგრამაში მონაწილეთა დიალიზის ჩასატარებლად, სხვადასხვა ქალაქებში ტრანსპორტირებისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება თვეში 150 ლარის ოდენობით; ხოლო განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა ქალაქგარეთ ტრანსპორტირების შემთხვევაში - წელიწადში ერთჯერ:



- ა) ფოთი - თბილისი - 250 ლარი;
- ბ) ფოთი - ქუთაისი - 150 ლარი;
- გ) ფოთი - ბათუმი - 150 ლარი;
- დ) ფოთი - ზუგდიდი - 150 ლარი.

ბიუჯეტიდან გამოყოფილი მატერიალური დახმარება, შესაბამისი კომისიის დასკვნისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე განსაზღვრულ პირებს დაერიცხებათ საბანკო ანგარიშზე.

#### **4.2.4 გინეკოლოგიურ დაავადებათა გამოკვლევა და პროფილაქტიკა (პროგრამული კოდი 06 02 04)**

პროგრამის მიზანია გინეკოლოგიურ დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და გავრცელების პრევენციის უზრუნველყოფა და მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, კიბოს დაავადების ადრეული გამოვლენის მიზნით გამოკვლევების ჩატარება.

პაციენტები გამოკვლევების ჩასატარებლად ყოველგვარი განცხადების გარეშე პირდაპირ მიმართავენ პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებას.

#### **4.2.5 სასმელი, სარეკრეაციო და ჩამდინარე წყლების სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური და სანიტარულ-ქიმიური გამოკვლევა (პროგრამული კოდი 06 02 05)**

აღნიშნული პროგრამის განხორციელების აუცილებლობა განპირობებულია მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის უზრუნველყოფით. შესაბამისად პროგრამის მიზანია ეპიდ. ზედამხედველობის სისტემის მგრძობელობის გაზრდა. სამედიცინო სტატისტიკური სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესება.

#### **4.2.6 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 06)**

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ფოთში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ფსიქოსომატურ რეაბილიტაციას.

#### **პროგრამის მართვა:**

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადებას თან უნდა ახლდეს პროგრამით მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა), მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა) ასლი, კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში - აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ფორმა №100 და ანგარიშ-ფაქტურა საქართველოში განთავსებული შესაბამისი სამედიცინო-

სარეაბილიტაციო დაწესებულებიდან. აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწევა წელიწადში ერთხელ, არაუმეტეს 500 ლარით.

თანხები გამოიყოფა შესაბამისი კომისიის დასკვნისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

*მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:*

- მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.
- მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

*შედეგების შეფასების ინდიკატორი:*

- პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა.

#### **4.3 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 03)**

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ფოთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ახალშობილთა ოჯახების დახმარებას, დაუძღვრებული და ლოგინს მიჯაჭვული ბენეფიციარებისათვის სოციალური და სამედიცინო სერვისების მიწოდებას ადგილებზე და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

##### **4.3.1 სარიტუალო მომსახურება (პროგრამული კოდი 06 03 01)**

აღნიშნული პროგრამით ხორციელდება უმწეო, მარტოხელა და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების დაფინანსება, აგრეთვე დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეთა გარდაცვალების შემთხვევაში, მათი ოჯახებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა 300 ლარის ოდენობით.

##### **პროგრამის მართვა:**

აღნიშნული პროგრამით დახმარების მისაღებად გარდაცვლილის ოჯახის წევრმა ან მეურვემ უნდა მიმართოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი, გარდაცვალების მოწმობის ასლი, გარდაცვლილის პირადობის მოწმობის ასლი, ცნობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებიდან (უბნების მიხედვით).

უპატრონო მიცვალებულის შემთხვევაში, დაკრძალვის ორგანიზებას და ჩასასვენებელი სასახლის დამზადებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენას ქალაქ ფოთის

მუნიციპალიტეტის მერიაში ახორციელებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები (უბნების მიხედვით).

#### **4.3.2 მარტოხელა დედათა დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 02)**

სამუშაო ადგილების დეფიციტის გამო მარტოხელა დედების უმრავლესობა უმუშევარია, მათ მძიმე ტვირთად აწევთ მცირეწლოვანი შვილების მოვლა-პატრონობა. იზრდება მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა რაოდენობა, ამიტომ მიზანშეწონილია გაეწიოს ყოველთვიური მატერიალური დახმარება მარტოხელა დედებს 40 ლარის ოდენობით მოზარდის 16 წლის ასაკის შესრულებამდე.

#### **პროგრამის მართვა:**

მატერიალური დახმარების მისაღებად მარტოხელა დედამ უნდა წარადგინოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადება შესაბამისი დოკუმენტაციით (პირადობის მოწმობის ასლი, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, ცნობა მარტოხელა მშობლის სტატუსის შესახებ).

ბიუჯეტიდან გამოყოფილი მატერიალური დახმარება, შესაბამისი კომისიის დასკვნის და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე, მარტოხელა დედებს ან/და მათ მიერ განსაზღვრულ პირებს დაერიცხებათ საბანკო ანგარიშზე.

#### **4.3.3 ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 03 03)**

აღნიშნული პროგრამა მოიცავს ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ბავშვთა ცენტრის“ პროგრამას, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულთა ოჯახების დახმარების პროგრამას, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა, ამავე ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირთა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეთა დახმარების პროგრამას, უსინათლოების მატერიალური დახმარების პროგრამას კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად და წნევის გამზომი ხმოვანი აპარატების შესაძენად.

##### **4.3.3.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ბავშვთა ცენტრი“ (პროგრამული კოდი 06 03 03 01)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა უზრუნველყოფას თავშესაფრით, კვებით, ბავშვთა დასვენება-გაჯანსაღებას (საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლი). პროგრამის ბენეფიციარია 10 ბავშვი.

##### **4.3.3.2 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულთა ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 03 03)**

პროგრამა მიზნად ისახავს 2008 წლის აგვისტოს თვეში რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შედეგად გარდაცვლილი მოქალაქეების ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევას, მათი ხსოვნისადმი პატივის მიგებას, კერძოდ:

ა) რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შედეგად გარდაცვლილი 11 მოქალაქის ოჯახისათვის - 500 ლარის ოდენობით წელიწადში ერთხელ;

ბ) რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შედეგად გარდაცვლილი 4 მშვიდობიანი მოქალაქის ოჯახისთვის, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპნენ - 150 ლარის ოდენობით ყოველთვიურად.

გამოყოფილი თანხა ბენეფიციარებს დაერიცხებათ პირად საბანკო ანგარიშზე.

#### **4.3.3.3 მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა, ამავე ომის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 03 04)**

პროგრამა მიზნად ისახავს დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და ამავე ომის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევას.

კერძოდ:

ა) მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ბენეფიციარებს, თითოეულს 350 ლარის ოდენობით;

ბ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე ბენეფიციარებს, თითოეულს 250 ლარის ოდენობით;

გ) მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ ბენეფიციარებს, თითოეულს 250 ლარის ოდენობით.

#### **პროგრამის მართვა:**

გამოყოფილი თანხა ბენეფიციარებს დაერიცხებათ პირად საბანკო ანგარიშზე, შესაბამისი კომისიის დასკვნის და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

#### **4.3.3.4 უსინათლოების მატერიალური დახმარება კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად (პროგრამული კოდი 06 03 03 06)**

პროგრამა გულისხმობს უსინათლო პენსიონერთათვის ყოველთვიურად 30 ლარიან შეღავათიან პაკეტს კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად.

#### **პროგრამის მართვა:**

უსინათლო პენსიონერი (შემდგომში ბენეფიციარი) კომუნალურ გადასახადებზე შეღავათების მისაღებად განცხადებით მიმართავს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოს ფოთის განყოფილებიდან, რომ ბენეფიციარი არის უსინათლო პენსიონერი.

პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარებს კომუნალურ გადასახადებზე შეღავათი 30 ლარის ოდენობით ყოველთვიურად დაერიცხებათ საბანკო ანგარიშებზე. თანხის გაცემა იწარმოებს პლასტიკური ბარათების მეშვეობით.

ბენეფიციართა სია არანაკლებ წელიწადში ორჯერ უნდა იქნას წარმოდგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, ვეტერანთა, დევნილთა, გენდერული თანასწორობისა და დასაქმების სამსახურის მიერ.

#### **4.3.3.5 უსინათლოების მატერიალური დახმარება წნევის გამზომი ხმოვანი აპარატების შესაძენად (პროგრამული კოდი 06 03 03 07)**

პროგრამა ითვალისწინებს 40 წლის ასაკის ზემოთ უსინათლო პენსიონერთათვის 150 ლარამდე ღირებულების წნევის გამზომი ხმოვანი აპარატების შეძენას.

**პროგრამის მართვა:**

უსინათლო პენსიონერი (შემდგომში ბენეფიციარი) წნევის გამზომი ხმოვანი აპარატების შესაძენად განცხადებით მიმართავს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოს ფოთის განყოფილებიდან, რომ ბენეფიციარი არის უსინათლო პენსიონერი, ფორმა N100 ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და სააფთიაქო დაწესებულებიდან წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურა.

თანხა დაირიცხება სააფთიაქო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე შესაბამისი კომისიის დასკვნის და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

**4.3.4 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა (უფასო სასადილო)**

**(პროგრამული კოდი 06 03 04)**

არამდგრადი შრომის ბაზარი, სოციალურად დაუცველი ოჯახები, საკვებ პროდუქტებზე მაღალი ფასები მოითხოვს შეიქმნას ერთჯერადად, უფასო კვების სერვისი. აღნიშნულ სერვისში ყოველდღიურად ისაძილებს 250 ბენეფიციარი.

**პროგრამის მართვა:**

მოქალაქეთა განცხადებების განხილვა მოხდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, ვეტერანთა, დევნილთა, გენდერული თანასწორობისა და დასაქმების სამსახურში, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის (უბნების მიხედვით) მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე ავადმყოფის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

**4.3.5 ახალშობილთა ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 05)**

პროგრამა უზრუნველყოფს სოციალურად დაუცველი ოჯახების წახალისებას, რათა ხელი შეუწყოს დემოგრაფიული ფონის გაუმჯობესებას. პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებული 100 000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვის, (მათ შორის, ქალაქ ფოთში რეგისტრირებულ დევნილებისათვის) ერთჯერადი 200 ლარით დახმარებას.

პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარებისათვის მატერიალური დახმარების უზრუნველყოფა შესაძლებელი იქნება ახალშობილის მშობლის მიერ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოტანილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის (მშობლების პირადობის მოწმობის ასლები, მონაცემები მათი რეგისტრაციის ადგილის შესახებ (დევნილის შემთხვევაში დევნილის მოწმობის ასლი), ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, ამონაწერი სოციალურად დაუცველის სარეიტინგო ქულის შესახებ) საფუძველზე.

**პროგრამის მართვა:**

თანხა განმცხადებელს დაერიცხება პირად საბანკო ანგარიშზე, შესაბამისი კომისიის დასკვნისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

#### **4.3.6 საქალაქო ავტობუსების სუბსიდირების ხარჯები (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფოთი ქალაქტრანსპორტი“) (პროგრამული კოდი 06 03 06)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის იაფი ტრანსპორტით მომსახურება. იგი სხვა სატრანსპორტო საშუალებებთან შედარებით იაფია და ნებისმიერ ადამიანს შეეძლება აღნიშნული ავტობუსით მგზავრობა.

#### **4.4 მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება (პროგრამული კოდი 06 04)**

ქალაქში დემოგრაფიული სიტუაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მკვიდრ, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 100 000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე (მათ შორის ქალაქ ფოთში რეგისტრირებულ დევნილთა მრავალშვილიან) ოჯახებს, რომელთაც 18 წლამდე ასაკის სამი და მეტი ბავშვი ჰყავთ თითოეული ბავშვისათვის ფულადი ბენეფიტი თვეში 50 ლარის ოდენობით.

მატერიალური დახმარების მისაღებად მრავალშვილიანმა ოჯახმა უნდა წარადგინოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადება შესაბამისი დოკუმენტაციით (მშობლების პირადობის მოწმობის ასლები, ბავშვების დაბადების მოწმობის ასლები, ამონაწერი სოციალურად დაუცველის სარეიტინგო ქულის შესახებ).

##### **პროგრამის მართვა:**

თანხა ბენეფიციარს დაერიცხება პირად საბანკო ანგარიშზე (ან საბანკო დაწესებულების მემვეობით) შესაბამისი კომისიის დასკვნის და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

#### **4.5 ხუთი და მეტშვილიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 05)**

ქალაქში დემოგრაფიული სიტუაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მკვიდრ, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 100 000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე (მათ შორის ქალაქ ფოთში რეგისტრირებულ დევნილთა მრავალშვილიან) ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ ხუთი და მეტი შვილი (უფროსი შვილის 18 წლის ასაკის შესრულებამდე) მიზანშეწონილია წელიწადში ერთხელ გაეწიოს მატერიალური დახმარება 1000 ლარის ოდენობით.

მატერიალური დახმარების მისაღებად მრავალშვილიანმა ოჯახმა უნდა წარადგინოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადება შესაბამისი დოკუმენტაციით (მშობლების პირადობის მოწმობის ასლები, ბავშვების დაბადების მოწმობის ასლები, ამონაწერი სოციალურად დაუცველის სარეიტინგო ქულის შესახებ).

##### **პროგრამის მართვა:**

თანხის გამოყოფა და ჩარიცხვა განხორციელდება წელიწადში ერთხელ. თანხა ბენეფიციარს დაერიცხება პირად საბანკო ანგარიშზე (ან საბანკო დაწესებულების მეშვეობით) შესაბამისი კომისიის დასკვნისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

#### **4.6 სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარებები (პროგრამული კოდი 06 06)**

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს სადღესასწაულო დღეებში შემდეგი კატეგორიის ბენეფიციარების მატერიალურ წახალისებას:

- დედიტა და დედ-მამით ობლები 17 წლამდე ასაკის – 100 ლარი წელიწადში ორჯერ.
- 1989 წლის 9 აპრილის მონაწილე – 500 ლარი ერთჯერადად.
- ქალაქის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე პენსიონრები (სოციალურად დაუცველი ქალაქის საპატიო მოქალაქეები) – 100 ლარი წელიწადში ორჯერ.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები 17 წლამდე ასაკის მოზარდები – 100 ლარი წელიწადში ორჯერ.
- ქალაქში მცხოვრები უხუცესები 90-100 წლამდე – 100 ლარი წელიწადში ერთხელ. 100 წლიდან უხუცესები - 500 ლარი წელიწადში ერთხელ.
- სკოლის წარჩინებული მოსწავლეები – 100 ლარი ერთჯერადად.  
თანხა პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარებს დაერიცხებათ პირად საბანკო ანგარიშზე. თანხები გამოიყოფა შესაბამისი კომისიის დასკვნისა და ქალაქ ფოთის

მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

#### **4.7 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური კვლევის ცენტრი“ (პროგრამული კოდი 06 07)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოციალური სერვისებით უზრუნველყოფის, შესაბამისი საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის ბავშვთა) პრევენციული, სარეაბილიტაციო და ალტერნატიული მომსახურების, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველი და მიუსაფარ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებზე ინფორმაციის მომზადება; მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე სოციალური პირობების გავლენის შესწავლა, დემოგრაფიული პროცესების ინფორმაციული ბანკის შექმნა, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ეკონომიკური აქტივობის სტატუსის (დასაქმების, უმუშევრობის) საინფორმაციო ბანკის შექმნა, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მუშაობის (უბნების მიხედვით) ხელშეწყობა მათი უფლებამოსილების ფარგლებში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით (წარმომადგენლის მიმართვის საფუძველზე შესაბამისი ინფორმაციისა და დასკვნის მიწოდება).

#### **4.8 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი“ (პროგრამული კოდი 06 08)**

პროგრამის მიზანია შინმოვლის სერვისის განვითარებისა და დანერგვის გზით უნარშეზღუდული/მოწყვლადი ადამიანებისათვის ჯანმრთელობის მდგომარეობის

გაუმჯობესება. კვალიფიციური სამედიცინო და სოციალური მომსახურების მიწოდება საცხოვრებელ ადგილზე იმ პირთათვის, რომლებიც საკუთარ თავს ვერ უვლიან.

**პროგრამის მართვა:**

პროგრამა ითვალისწინებს დაუძღვრებულ და ლოგინს მიჯაჭვული ბენეფიციარებისათვის, კვალიფიციური მედდების, ექიმისა და ტექნიკური მუშაკის დახმარებით, სოციალური და სამედიცინო სერვისების მიწოდებას ადგილებზე.

სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაცია მოიცავს მომსახურებას სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ: საკვებისა და მედიკამენტების მიღებას, ნაწოლების დამუშავებას, წნევის კონტროლს, საწოლიდან წამოდგომას, პირად ჰიგიენას, ყოველდღიურ ინსტრუმენტალურ აქტივობებს და სხვას.

პროგრამის ბენეფიციარია 31 ავადმყოფი.

*მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:*

- მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება.

*შედეგების შეფასების ინდიკატორი:*

- პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა.

**5. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)**

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, ქალაქ ფოთში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

ორბ. კოდი	დასახელება	2018 წლის პროექტი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
<b>02 00</b>	<b>თავდაცვა</b>	<b>110.0</b>	<b>110.0</b>	<b>110.0</b>	<b>110.0</b>
<b>02 03</b>	<b>ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური)</b>	<b>110.0</b>	<b>110.0</b>	<b>110.0</b>	<b>110.0</b>

**5.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)**

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, ქალაქ ფოთში ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები, ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.

2018 წელს სავარაუდოდ მოხდება 110 ვაჟის გაწვევა.

*მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:*

- დაცული მოსახლეობა;



- თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული გეგმის შესრულება.

*შედეგების შეფასების ინდიკატორები:*

- გაწვეულთა რაოდენობა.

პროექტის წარმომდგენი,  
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

გოჩა კურდღელია

საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე თოფურია